საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №482
2019 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №116 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის №3128 კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №116 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 31/08/2015, სარეგისტრაციო კოდი: 100020020.22.038.016531) დამტკიცებული დებულების 79-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 და 1^2 პუნქტები:

„1^1. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წახალისების ფორმების გარდა, ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევის ან/და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში, წახალისების ფორმის სახით, შესაძლებელია მსჯავრდებულს მიეცეს დაწესებულების გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლის უფლება.

1^2. დაწესებულების გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლის უფლების მიცემის, როგორც წახალისების ფორმის გამოყენების, შესახებ გადაწყვეტილებას, დაწესებულების დირექტორის წარდგინებით, იღებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალური დირექტორი.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2019 წლის 31 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **მიხეილ სარჯველაძე**